ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 196

ქალაქი ქუთაისი 31 მაისი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 23 მაისის №44-4423143453 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412773459), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების (გარე განათების კონსტრუქციის (ბოძი) წერტილები) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წელი, №06/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს შეადგენს 345.0 (სამას ორმოცდახუთი) ლარს.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკმა“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412773459), სარგებლობაში გადაცემული 69 (სამოცდაცხრა) ერთეულ გარე განათების კონსტრუქციის (ბოძი)

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო

წერტილი გამოიყენოს საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად 1 (ერთი) ერთეული კაბელის გატარებისათვის, უსაფრთხოების ნორმებისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის
№196 განკარგულების დანართი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნეტლინკისათვის“
(საიდენტიფიკაციო კოდის №412773459) პირდაპირი განკარგვის
წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში
გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების ჩამონათვალი

N	მისამართი	ქონების დასახელება	გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილების რაოდენობა	საკადასტრო კოდი
1.	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	19	03.00.061
2.	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა (მარცხენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	22	03.00.070
3.	ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი (მარცხენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.046
4.	ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი (მარჯვენა მხარე)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	8	03.00.047
5.	ქალაქი ქუთისი, შერვაშიძის, მაჩაბლის, ბელიაშვილისა და გუნიას ქუჩები	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	19	03.00.359
	სულ		69	

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენელია